საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 25 მაისის

დადგენილება №2016

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ახალშექმნილი ფაკულტეტების ხელმძღვანელების
დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის r^1 ქვეპუნტის, სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის 2013 წლის 13 მაისის საბჭოს №12 სხდომის გადაწყვეტილებისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის №1987 დადგენილების საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ სამ ახალ ფაკულტეტზე – „სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე“, „საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე“ და „ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე“ დაინიშნოს ფაკულტეტის დეკანის არჩევნები 2016 წლის 27 ივლისს;
2. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2016 წლის 14 ივლისს და დასრულდეს 20 ივლისს. განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველდღე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებში;
3. 2016 წლის 26 ივლისს (12 სთ) დაინიშნოს კანდიდატთა მიერ სამოქმედო პროგრამის საჯაროდ წარდგენა ფაკულტეტის საბჭოებში;
4. დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
5. კანდიდატებმა განცხადება უნდა წარადგინონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას უნდა დაერთოს:
   5.1. პირადობის მოწმობის ასლი;
   5.2. ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ;
   5.3. სამოქმედო გეგმა;
   5.4. ინფორმაცია განათლების, შრომითი გამოცდილების, აკადემიური ხარისხის თაობაზე.
6. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით;
7. 65 წლისა და მეტი ასაკის პირის მიერ დეკანის თანამდებობის დაკავების საკითხს აკადემიური საბჭო წყვეტს ინდივიდუალურად, აღნიშნულ საკითხზე აკადემიურ საბჭოში განცხადება მიიღება 2016 წლის 14 ივლისს, 10 საათიდან 17 საათამდე;

8. განცხადება ფაკულტეტის დეკანების არჩევნებთან დაკავშირებით გამოქვეყნდეს პრესაში 2016 წლის 31 მაისს;
9. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე